სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

16/09/2026

MES 0 26 0001240758

ბრძანება

თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების მოხსნის შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაწესების და პრემიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ " სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 ივლისის N965028 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 14 სექტემბრის N1220710 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსიდან, კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას შემდეგი საკონკურსო განაცხადები:

ა) RA-26-192

ბ) RA-26-007

2.დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3.ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი